ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
თასი მინიფეხბურთში
2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

დებულება

1. მიზნები და ამოცანები

ტურნირის მიზანია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მინიფეხბურთის, როგორც სპორტის, პოპულარიზაცია, გამარჯვებული გუნდებისა და კარგი მოთამაშეების გამოვლენა, ილიაუნის ფუტსალის ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა.

2. ორგანიზატორები

შეჯიბრებას მართავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი.

3. მონაწილეები

ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებით დაკომპლექტებულ გუნდებს. განაცხადში შესაძლებელია არაუმეტეს 8 ფეხბურთელის შეყვანა. ტურნირის მონაწილეს არ აქვს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშის უფლება.

4. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

მინიფეხბურთში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თასის თამაშები ჩატარდება 2018 წლის 15 ოქტომბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით ილიაუნის E კორპუსის ეზოში მდებარე სპორტულ მოედანზე. განაცხადის შევსების ბოლო ვადაა 11 ოქტომბერი. კენჭისყრა გაიმართება 12 ოქტომბერს.

5. შეჯიბრების ჩატარების სისტემა და პირობები

ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდება ფლეი-ოფის სისტემით და გამოავლენს 16 საუკეთესო გუნდს. ისინი განაწილდებიან 4 ჯგუფად, რომლებშიც მატჩები ჩატარდება ერთ წრედ. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ფლეი-ოფის სისტემით გამოავლენენ ჩემპიონსა და პრიზიორებს.

მოგება – 3 ქულა, ფრე – 1 , წაგება – 0 ქულა.

თუ ჯგუფურ ეტაპზე ორი ან მეტი გუნდი თანაბარ ქულებს დააგროვებს, საუკეთესო გამოვლინდება შემდეგი მაჩვენებლებით:
ა. პირადი შეხვედრების შედეგები;
ბ. პირად შეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობა;
გ. პირად შეხვედრებში მეტი გატანილი გოლი;
დ. ჯგუფურ ტურნირში ბურთების უკეთესი სხვაობა;
ე. ჯგუფურ ტურნირში მეტი გატანილი გოლი;
ვ. ნაკლები დისციპლინური დარღვევა;
ზ. კენჭისყრა.

ფლეი-ოფებში გაიმართება თითო მატჩი. თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება 3-3 პენალტი, ფრეს შემთხვევაში – თითო პენალტი პირველ „გაცუდებამდე".

მატჩი შედგება ორი 12-წუთიანი ტაიმისაგან 5-წუთიანი შესვენებით. გუნდის შემადგენლობაში 3 მოთამაშე და მეკარეა. შეხვედრები ჩატარდება მინიფეხბურთის N5 ზომის ბურთით. ცვლილებების რაოდენობა შეუზღუდავია. მეკარეს აქვს უფლება, ბურთი ცენტრის ხაზს მიღმა ისროლოს ხელით და ეკრძალება თანაგუნდელის მიერ მოწოდებული ბურთის ხელში აღება. ჯარიმის ჩაწოდებისას მეტოქე გუნდის ფეხბურთელები უნდა განლაგდნენ ბურთიდან არაუახლოეს 5 მეტრისა, ხოლო კუთხურისა და აუტის ჩაწოდებისას – არაუახლოეს 3 მეტრისა. აუტის მოწოდება ხდება გვერდითი ხაზიდან ფეხით. ორი ყვითელი ან წითელი ბარათის მიღების შემთხვევაში მოთამაშე ტოვებს მოედანს მატჩის ბოლომდე, მისი გუნდი კი 1 წუთის განმავლობაში ან გოლის გაშვებამდე უმცირესობაში ითამაშებს. შემდეგ შეეძლება შემადგენლობის სხვა მოთამაშით შევსება.

6. სადისციპლინო სასჯელი

მატჩში მონაწილეობის უფლების არმქონე ფეხბურთელის თამაშის შემთხვევაში დამრღვევ გუნდს ჩაეთვლება წაგება 0:5; განმეორებისას მოიხსნება შეჯიბრებიდან.

გამოუცხადებლობის ან 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხვევაში გუნდს ჩაეთვლება წაგება 0:5.

ერთ თამაშში 2 ყვითელი ბარათის მიღების შემთხვევაში გაძევებული მოთამაშე არ ტოვებს მომდევნო მატჩს.

მატჩში წითელი ბარათის მიღების შემთხვევაში მოთამაშე გამოტოვებს მომდევნო შეხვედრას (თუ წითელი ბარათი არ აქვს უდისციპლინო საქციელის გამო).

ყველა დისციპლინური გადაწყვეტილება მიღებული და განხილული იქნება ტურნირის ორგანიზატორების მიერ.

7. დაჯილდოება

ჩემპიონატის გამარჯვებული და ფინალისტი გუნდები, აგრეთვე საუკეთესო მოთამაშეები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის თასით, მედლებით, სიგელებითა და სხვა საჩუქრებით.